სტატისტიკური ანგარიში –

2022 წლის პირველი 6 თვის ანგარიში

სამართლებრივი გარემო

საქართველოში კვლავ მაღალია სტიგმის და კრიმინალიზაციის დონე მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიმართ. ნარკოტიკის მომხმარებლებთან, სექს-მუშაკ ქალებთან, აივ ინფიცირებულებთან მიმართებაში მოქმედებს ისეთი კანონები, რომლებიც ახდენს მათ პიროვნებასთან და ქრონიკულ დაავადებებთან დაკავშირებული ქმედებების ან უმოქმედების სისხლის სამართლით გათვალისწინებულ პირდაპირ აკრძალვას.

აივ-ის გადაცემა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა

კრიმინალური პასუხისმგებლობა **(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-132 მუხლი)**. გამოიყენება ძალიან იშვიათად.

ნარკოტიკის შენახვა, გამოყენება, გასაღების მიზნის გარეშე

ადმინისტრაციული/სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 260-273-273[1])/ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 45, 45 1).

დოზების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს

სექს-სამუშაოს განხორციელება

კომერციული სექს-მომსახურების მიწოდება – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა **(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 172[3])**

პროსტიტუციაში ჩაბმა – სისხლის სამართლის დანაშაული **(სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 253).**
გამოიყენება იშვიათად

ერთსქესიანი ურთიერთობები

არ არის კრიმინალიზირებული

ლგბტ თემის მიმართ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონები: სახელმწიფო/კერძო სექტორში, განათლებაში, შრომის სფეროში **(დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, 2014 წ).**
დანერგილია კანონმდებლობა სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის შესახებ **(სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 142 -144 (3)**

REAct PROJECT : უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები

REAct-ის შესახებ

REAct** (უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები)* შემუშავებულია ორგანიზაცია ***Frontline AIDS-ის მიერ *(დიდი ბრიტანეთი)* და წარმოადგენს თემის დონეზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე მონიტორინგის და რეაგირების ინსტრუმენტს.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში REAct ხორციელდება ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსის მიერ,*** რეგიონული პროექტის "აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მაღალი რისკის პოპულაციებისათვის მდგრადი აივ სერვისების უზრუნველყოფა" (SoS) ფარგლებში, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის ***გლობალური ფონდის*** ფინანსური მხარდაჭერით.

2022 წლიდან REAct-ი ხორციელდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, გლობალური ფონდის „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" პროგრამის ფარგლებში.

REact იძლევა აივ-ინფექციის, ტუბერკულოზის და ჰეპატიტიტებთან პროფილაქტიკის და მკურნალობის სერვისებთან წვდომისას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბარიერების დოკუმენტირების და რეაგირების შესაძლებლობას.

გაიგეთ მეტი REAct-ის შესახებ

https://react-aph.org/

დანერგვის მასშტაბი

ძირითადი განმახორციელებელი პარტნიორი – ***ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი.*** ქსელი თანამშრომლობს 17 სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და აწვდიან მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლებს ფართო სპექტრის მომსახურებას, მათ შორის იურიდიული მომსახურება და სერვისი ქალებისთვის.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი აწვდის პროექტს ტექნიკურ დახმარებას ბაზის ფუნქციონირების, გენერირებული ინფორმაციის ანალიზის და ადვოკატირების სტრატეგიული მიზნების დასახვის თვალსაზრისით.

2019 წელს პროგრამის განხოციელება დაიწყო მხოლოდ თბილისში, საპილოტედ. 2020 წლის შუა პერიოდისთვის რეაქტი გაფართოვდა და მიმდინარეობდა სხვა რეგიონებში. 2022 წლის 30 ივნისამდე REAct-ს ბაზა გაფართოვდა და მოიცავდა ***8 ქალაქს: ბათუმი, ქუთაისი, სამტრედია, გორი, ოზურგეთი, რუსთავი, თბილისი, ფოთი.***

191
დოკუმენტირებული შემთხვევები

17
მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები

33
REAct-ორები, რომლებიც აწარმოებენ შემთხვევათა დოკუმენტირებას

8
ქალაქები, სადაც მუშაობენ REAct-ორები

რუკა

თბილისი	23
გურია	38
ქვემო ქართლი	2
იმერეთი	123
აჭარა	1
სამეგროლო/ზემო სვანეთი	1
არ არის მითითებული	3

30.06.2022 მდგომარეობით

კლიენტები

2022 წლის პირველ ნახევარში მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების **191** წარმომადგენელმა მიმართეს REAct-ორებს. **36** ბენეფიციარი მიეკუთვნება ერთდროულად **2** ჯგუფს, **4** ბენეფიციარი – **3** ჯგუფს.

საერთო რიცხვიდან, **48,6%** – სექს მუშაკია.

ადამიანის უფლებათა დამრღვევებიდან – **60,4%** წამოადგენს კერძო პირს. **66%** შემთხვევა – ცემა სიძულვილის ნიადაგზე, **65 %** – დაშინება, ძალადობის მუქარა, შანტაჟი.



30.06.2022 მდგომარეობით

REACT PROJECT

მაღალი რისკის ჯგუფი

ჯგუფი	სულ	მათგან:											
		აივ პოზიტიური	ნარკომომხმარებელი	სექს მუშაკი	ლგბტიქ	ლგბტიქ – მსმ	ლგბტიქ – ტრანს*	ყოფილი პატიმარი	ტუბერკულოზის მქონე პირი	C ჰეპატიტის მქონე პირი	დევნილი	ალკოჰოლის მომხმარებელი	ნიმ-ის სქესობრივი პარტნიორი
აივ პოზიტიური	2	0	2	0	0	0	0	1	0	1	0	0	0
ნარკომომხმარებელი	75	2	0	3	1	0	0	3	4	6	0	0	0
სექს მუშაკი	94	0	3	0	16	14	2	0	0	1	1	5	2
ლგბტიქ	41	0	1	16	0	33	5	0	0	0	0	0	0
ლგბტიქ - მსმ	33	0	0	14	33	0	0	0	0	0	0	0	0
ლგბტიქ – ტრანს*	5	0	0	2	5	0	0	0	0	0	0	0	0
ყოფილი პატიმარი	3	1	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ტუბერკულოზის მქონე პირი	4	0	4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
C ჰეპატიტის მქონე პირი	7	1	6	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
დევნილი	1	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
ალკოჰოლის მომხმარებელი	5	0	0	5	0	0	0	0	0	0	0	0	0
ნიმ-ის სქესობრივი პარტნიორი	2	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	0	0
სულ		**4**	**19**	**44**	**55**	**47**	**7**	**4**	**4**	**8**	**1**	**5**	**2**

30.06.2022 მდგომარეობით

REACT PROJECT

ზოგადი სტატისტიკა

30.06.2022 მდგომარეობით, ყველა რისკ-ჯგუფის მიმართვის საფუძველზე

95,2%
ყველა დარეგისტრირებული შემთხვევიდან

მიეცა ადამიანის უფლებათა დარღვევის კვალიფიკაცია

დანარჩენ შემთხვევებს მიეცათ სოციალური საკითხების მენეჯმენტის, იურიდიული კონსულტირების კვალიფიკაცია, რომლებიც არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევასა და დისკრიმინაციასთან.

ძირითადი დამრღვევები

(უფლებები ყველა ბენეფიციარის მათი სქესის და რისკ -ჯგუფის მიუხედავად)



დეტალური ჩაშლა ყველა რისკ-ჯგუფის



30.06.2022 მდგომარეობით

ნარკომომხმარებლები

2022 წლის პირველ ნახევარში,

75 ნარკომომხმარებელმა შეატყობინა REAct-ს მათი უფლებების დარღვევის შესახებ და მიიღო იურიდიული კონსულტაცია და დახმარება

აქედან, 69% – მოიხმარს ინექციურ ნარკოტიკს

31% არაინექციურს

ნარკომომხმარებლების უფლებათა დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



ნარკომომხმარებლების უფლებათა დამრღვევების ძირითადი სახეობები



ნარკომომხმარებელთა უფლებათა დარღვევის ძირითადი სახეობები



30.06.2022 მდგომარეობით

ნარკომომხმარებლები –

შემთხვევების მაგალითები

საცხოვრისის არასანკცირებული ჩხრეკა/პირადი ჩხრეკა:

39 წლის მამაკაცი, 2022 წლის მაისი

კლიენტი განიცდის პოლიციის მხრიდან გამუდმებით თვალთვალს და შევიწროვებას. ხშირად აჩერებენ ჩხრეკვისთვის, იყო სახლის ჩხრეკის რამდენიმე მცდელობა. დაურეკეს ნაცნობს, თავი წარადგინეს პროკურატურის თანამშრომლად და დაინტერესდნენ კლიენტის პირადი ცხოვრებით. კლიენტი მუდმივად დაძაბულია და სურს ქვეყნის დატოვება, რათა თავიდან აიცილოს მძიმე შედეგები.

შედეგი: *მიდინარეობს დახმარების აღმოჩენა.*

დაშინება, ძალადობის მუქარა, შანტაჟი:

მამაკაცი, 32 წლის, 2022 წლის ივნისი

მეთადონით ჩანაცვლებითითერაპიის პუნქტიდან გამოსული ორი პაციენტი,რომლებიც მოდიოდნენ ჩვენთან შპრიცებისთვის, დაუკავეს პოლიცებმა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე გადაიყვანეს განყოფილებაში. ისინი განჩხრიკეს და მოსთხოვეს ჩაებარებინათ ბიოლოგიური მასალა.

შედეგი: *კლიენტები დაუკავშირდნენ რეაქტორს, რეაქტორის და ადვოკატის ჩარევის შემდეგ, ბენეფიციარებმა უარი განაცხადეს ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე კონსტიტუციის 42 მუხლის თანახმად. ბენეფიციარების გაუშვეს სახლში.*

** ყველა სახელი შეიცვალა უსაფრთხოების მიზნით*

ნარკომომხმარებლები –

შემთხვევების მაგალითები

ოჩთ-ს სერვისებზე და ნარკოლოგიურ დახმარებაზე წვდომის ბარიერები:

42 წლის მამაკაცი, 2022 წლის იანვარი

ქრონიკული დაავადების მქონე ნარკომომხმარებელ ბენეფიციარს უარი უთხრეს მეთადონზე სახლში გატანაზე.

შედეგი: *რეაქტორის დახმარებით, საქმე გადაწყდა კლიენტის სასარგებლოდ.*





დამამცირებელი მოპყრობა სამედიცინო დაწესებულებაში:

39 წლის მამაკაცი, 2022 წლის მაისი

მამაკაცს აღენიშნებოდა ტუბერკულოზის სიმპტომები, მას ჰქონდა ვაუჩერი ტუბერკულოზზე უფასო კონსულტირებისთვის. ესაჭიროებოდა ტუბერკულოზზე სკრინინგი და მკურნალობის პროგრამაში ჩართვა. სამედიცინო დაწესებულების პერსონალი - ექიმმა უარი განაცხადა შემოწმებაზე და არ ჩაატარა სათანადო მკურნალობა. მან შეურაცხყოფა მიაყენა პაციენტის ნარკოტიკის მოხმარების გამო.

შედეგი: *რეაქტორი დაუკავშირდა სამკურნალო დაწესებულებას, გაცემულია ცნობა, კლიენტმა გაიარა შემოწმება და იგი ჩართეს პროგრამაში. კლიენტს მიეწოდა დახმარება – საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდა.*

** ყველა სახელი შეიცვალა უსაფრთხოების მიზნით*

სექს-მუშაკი ქალები

2022 წელს **93** სექს-მუშაკმა შეატყობინა რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევების შესახებ და მიიღეს იურიდიული კონსულტირება და დახმარება. აქედან **83%** იყო ქალი

15% მამაკაცი

1% ტრანს*ქალი და

1% ტრანს* მამაკაცი

უფლებათა დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



უფლებათა დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



დარღვევის ძირითადი სახეობები



30.06.2022 მდგომარეობით

REACT PROJECT სექს-მუშაკი ქალები შემთხვევების მაგალითები

პროსტიტუციის იძულება:

24 წლის ქალი, 2022 წლის ივნისი

ბენეფიციარი დაკავებულია სექს სამუშაოთი. ახლახანს ჩამოვიდა რაიონიდან, ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში თავის ახლო მეგობართან. ბინის მეპატრონე მუდმივად აიძულეს ქალებს, სამუშაოზე გასვლას, რათა მათ რაც შეიძლება მეტი ფული გამოიმუშაონ. ამბობს, რომ ამ გოგონების მფლობელია. ისინი ამჯობინებენ ჩუმად იყვნენ, რადგანაც არსად აქვთ წასასვლელი, და ჯერ კარგად არ იცნობენ ქალაქს.

შედეგი: *კლიენტს არ სურს საქმის მოგვარება, შიშის გამო/*





სექსუალური ძალადობა, მეძიებლობა

30 წლის ქალი, 2022 წლის მაისი

ბენეფიციარს მუდმივი პარტნიორი აიძულებს დაუცველ და მისთვის მიუღებელ სექსობრივ კავშირს. ბენეფიციარია თავს იკავებს ჩივილისგან, რადგანაც მისი კლიენტი სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომელია და მიაჩნია, რომ ვერაფერს მიაღწევს.

შედეგი: *არ აპირებს ჩივილს, არ უნდა საქმის გახმაურება, ეშინია.*

სიძულვილის ნიადაგზე ცემა კერძო პირების მხრიდან:

მამაკაცი 19 წლის, 2022 წლის მაისი

მსმ სწავლობს, დაკავებული სექს-სამუშაოთი. ჩაცმულობის გამო, სასწავლო დაწესებულებაში ამოიცნეს და იგი გახდა სტუდენტების მხრიდან დაცინვის ობიექტი. ერთხელ ეზოში გაიყვანეს და იქ სამმა ბიჭმა ცემა. ინციდენტის გამო უწევს საბუთების სხვა ინსტიტუტში გადატანა. აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები.

შედეგი: *არ არის ჯერ გადაწყვეტილი. კლიენტს არ სურს საქმის წარმოება, რადგანაც ეშინია გენდერული იდენტობის გამოაშკარავების.*

გამოსახლება, საცხოვრებელი ადგილის დატოვების იძულება:

29 წლის ქალი, 2022 წლის ივნისი

ბენეფიციარი – კომერციული სექს-მუშაკი ქალი. ცხოვრობს ბებიის დანატოვარ ბინაში, სადაც ღებულობს კლიენტებს. თუმცა ხელს არავის უშლის. მეზობლები ავიწროვებენ, ემუქრებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცები (აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას – („ცუდი ქალია“და ამას იმსახურებს, და მოითხოვენ რომ მათაც მოემსახუროს). ამის გამო დროებით გადავიდა საცხოვრებლად მეგობართან. არ აპირებს ჩივილს, არ უნდა პოლიციაში საქმის გახსნა.

** ყველა სახელი შეიცვალა უსაფრთხოების მიზნით*

მსმ და ტრანს* პირები

ლგბტიქ თემის **42** წარმომადგენელმა შეატყობინა რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევების შესახებ. მათ მიიღეს იურიდიული კონსულტირება და დახმარება. აქედან **83,3%** იყო მსმ

9,5%
ტრანს*ქალი

2,3%
ტრანს* მამაკაცი

0,4%
უცნობი

დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



დამრღვევების ძირითადი სახეობები



დარღვევის ძირითადი სახეობები



30.06.2022 მდგომარეობით

REACT PROJECT მსმ და ტრანს* პირები შემთხვევების მაგალითები

დამამცირებელი მოპყრობა სამედიცინო დაწესებულებაში:

მამაკაცი 32 წლის, 2022 წლის ივნისი:

კლიენტი ჩავიდა სოფლიდან ქუთაისში, რადგანაც იცოდა, რომ არც სახლში და არც სოფელში მას თავს არ დაანებებდნენ, თუ შეიტყვეს მისი ორიენტაციის შესახებ. სოფელში მოხდა ანალოგიური შემთხვევა და მისი ნაცნობი სასტიკად სცემეს. ისიც ასევე მალავდა თავის იდენტობას, სანამ შეეძლო. მაგრამ სოფელში ბევრი იყო მამაკაცი, ვისთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა. ეს რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ხოლო ცოტა ხნის წინ, მამაკაცი, რომელთანაც ჰქონდა ურთიერთობა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა და ყველა მიხვდა, რომ კლიენტიც არის გეი. მას მოუწია სოფლის დატოვება, აქვს კავშირი მხოლოდ დედასთან. მამა ემუქრება, რომ მოკლავს თუ გაბედა სოფელში დაბრუნება. ახლა დროებით ცხოვრობს მეგობართან, რომელიც აქ ჩამოსვლისას გაიცნო.

შედეგი: *კლიენტს არ სურს საქმის გადაწყვეტა.*

ცემა სიძულვილის ნიადაგზე კერძო პირების მხრიდან:



მამაკაცი 31 წლის, 2022 წლის მაისი

მაღაზიაში შესვლისას, კლიენტს თავს დაესხა მფლობელის ნათესავი. ყვიროდა რომ არ უნდა „ჰედ...“ შევიდეს მის მაღაზიაში, სადაც სხვა ადამიანებიც არიან.

შედეგი: *კლიენტმა არ მოინდომა საქმის გადაწყვეტა.*

სამსახურიდან დათხოვნა, სამსახურში მიღებაზე უარის თქმა/ გამოსახლება, საცხოვრებელი ადგილის დატოვების იძულება:

35 წლის მამაკაცი, 2022 წლის ივნისი

მსმ არის ინგლისური ენის მასწავლებელი, ასწავლის სკოლაში და ამზადებს ბავშვებს. ერთ-ერთმა მშობელმა შეიტყო მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და უამბო სხვა მშობლებს. ამის შემდეგ, მოსწავლეების უმრავლესობამ აღარ ისურვა მასთან მომზადება. როგორც ამბობენ, მშობლებს ეშინიათ, რადგანაც მათ ბიჭები ჰყავთ და არ სურთ მასთან ურთიერთობა. ისინი დაემუქრენ, რომ მივლენ მის სკოლაში და ყველას უამბობენ მის შესახებ. ბენეფიციარმა გაიფორმა დოკუმენტები და გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება. არდადეგები დაიწყო და ის აღარ დადის სკოლაში. მშობლებმა არ გადაუხადეს ბოლო თვის სწავლის საფასური.

შედეგი: *კლიენტმა არ ისურვა საქმის გადაწყვეტა.*

გამოსახლება, საცხოვრებელი ადგილის დატოვების იძულება

22 წლის მამაკაცი, 2022 წლის მაისი

ბენეფიციარი – ლგბტ თემის წარმომადგენელი. მას აუწია ტემპერატურა, ვერ გაუმკლავდა სახლის პირობებში და გამოიძახა სასწრაფოს. სასწრაფომ გადაიყვანა კლინიკაში. იქ ამოიცნეს, რადგანაც მეტნაკლებად იცნობენ ქალაქში. მას აბუჩად იგდებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, ეუბნებოდნენ რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნას სიკვიდი სჯობს.

შედეგი: *პროცესი მიმდინარეობს.*

** Все имена изменены в целях безопасности*

შემთხვევის სტატუსი და მომსახურება

შემთხვევის სტატუსი



მომსახურების მიწოდება



გაიგეთ მეტი **REAct-ის სისტემის რეაგირების მეთოდოლოგიის შესახებ**

30.06.2022 მდგომარეობით